

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო  
საკითხთა და ეთიკის კომისიის

სხდომის ოქმი N 14

ხაშური

2018 წლის 07 ივნისი

14-00 სთ

სხდომის თავმჯდომარე ანა ხარებავა - ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო,  
საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ :

კომისიის წევრები: ცოტნე ნოზაძე, იმედა მეტრეველი, ჯონდო კაპანაძე, ნატო კვიციანი, ნოვე ტაბატაძე.

სხდომას ესწრებოდნენ :

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ :

კომისიის სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა კომისიის 6 წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი (პროექტი)

1. „ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების, ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესის დამტკიცების შესახებ“ მერიიდან წარმოდგენილ პროექტის შესახებ.  
მომხს. ა. ხარებავა
2. „ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის ზოგადი წესის დამტკიცების შესახებ“ მერიიდან წარმოდგენილ პროექტის შესახებ.  
მომხს. ა. ხარებავა
3. „ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების (ძაღვი, კატა) მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ მერიიდან წარმოდგენილ პროექტის შესახებ.  
მომხს. ა. ხარებავა
4. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 07 სექტემბრის N43 დადგენილებაში „ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლისა და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩეველებთან საჯარო შეხვედრების მოწყობის წესისა და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის ფორმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე მერიიდან წარმოდგენილ პროექტის შესახებ.  
მომხს. ა. ხარებავა

5. „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ წარმოდგენილ პროექტის შესახებ.

მომხს. ა. ხარებავა

6. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მიერ წარმოდგენილი 2018 წლის პირველი კვარტალში გაწეული მუშაობის ანგარიშის საკვებულოს სხდომაზე მოსმენისა და შეფასების შესახებ.

მომხს. ა. ხარებავა

კომისიის წევრებმა კენჭი უყარეს და ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი პროექტით წარმოდგენილი სახით.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მოისმინეს კომისიის თავმჯდომარის ანა ხარებავას ინფორმაცია „ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების, ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესის დამტკიცების შესახებ“ მერიიდან წარმოდგენილ პროექტის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: იმედა მეტრეველმა, ჯონდო კაპანაძემ, ანა ხარებავამ.

ღია კენჭისყრით (მომხრე -6 ; წინააღმდეგი -0)

კომისიამ გადაწყვიტა: საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ II საკითხთან დაკავშირებით მოისმინეს კომისიის თავმჯდომარის ანა ხარებავას ინფორმაცია „ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის ზოგადი წესის დამტკიცების შესახებ“ მერიიდან წარმოდგენილ პროექტის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ჯონდო კაპანაძემ, ნატო კიკაძემ, ანა ხარებავამ.

ღია კენჭისყრით (მომხრე - 6; წინააღმდეგი -0)

კომისიამ გადაწყვიტა: საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ III საკითხთან დაკავშირებით მოისმინეს კომისიის თავმჯდომარის ანა ხარებავას ინფორმაცია „ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების (ძაღლი, კატა) მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ მერიიდან წარმოდგენილ პროექტის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: იმედა მეტრეველმა, ანა ხარებავამ.

ღია კენჭისყრით (მომხრე - 6; წინააღმდეგი -0)

კომისიამ გადაწყვიტა: საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ IV საკითხთან დაკავშირებით მოისმინეს კომისიის თავმჯდომარის ანა ხარებავას ინფორმაცია ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 07 სექტემბრის N43 დადგენილებაში „ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლისა და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობის წესისა და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ

გაწეული საქმიანობის ანგარიშის ფორმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე მერიიდან წარმოდგენილ პროექტის შესახებ.

აზრი გამოთქვას: ნოვე ტაბატამემ, ანა ხარებავამ.

ღია კენჭისყრით (მომხრე - 6; წინააღმდეგი -0)

კომისიამ გადაწყვიტა: საკითხი გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ V საკითხთან დაკავშირებით მოისმინეს კომისიის თავმჯდომარის ანა ხარებავას ინფორმაცია „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ წარმოდგენილ პროექტის შესახებ.

აზრი გამოთქვას: ნატო კიკამემ, ანა ხარებავამ.

ღია კენჭისყრით (მომხრე - 6; წინააღმდეგი -0)

კომისიამ გადაწყვიტა: საკითხი შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს და შეტანილ იქნას განსახილველად საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ VI საკითხთან დაკავშირებით მოისმინეს კომისიის თავმჯდომარის ანა ხარებავას ინფორმაცია ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მიერ წარმოდგენილი 2018 წლის პირველი კვარტალში გაწეული მუშაობის ანგარიშის საკრებულოს სხდომაზე მოსმენისა და შეფასების შესახებ.


აზრი გამოთქვას: ჯონდო კაპანამემ, ანა ხარებავამ.

ღია კენჭისყრით (მომხრე - 6; წინააღმდეგი -0)

კომისიამ გადაწყვიტა: საკითხი შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს და შეტანილ იქნას განსახილველად საკრებულოს სხდომაზე.

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის

კომისიის თავმჯდომარე



ანა ხარებავა